



მაგისტრატურის სასწავლო კურსი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში

— შესახებ —

სწავლების ენა: ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეცნიერების მაგისტრი ინფორმატიკაში
სპეციალობა: ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები
სპეციალიზაცია: პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების
განვითარება და ანალიზი
კვალიფიკაციის კოდი: 0613
კრედიტების რაოდენობა: 120 - 75 სასწავლო + 45 კვლევითი
განხორციელების ადგილი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

— საკონტაქტო ინფორმაცია —

საერთაშორისო სტუდენტების რეკრუტების ცენტრი
ხელმძღვანელი სტუ-ში: პაატა ცინცაძე
ე-ფოსტა: p.tsintsadze@gtu.ge
ტელ: +995 599 06 95 95

პასუხისმგებელი პირი: ნიკო ცუცქირიძე
ე-ფოსტა: niko.tsutskiridze@cern.ch
ტელ: +995 558 47 49 80

— აღწერა —

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში, რომლებიც შეძლებენ დარგის ინოვაციური გამოწვევების შესაბამისად ახალი გადაწყვეტილებების დამუშავებას და მათ რეალიზაციას.

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის (CERN) ჟენევა, შვეიცარია თემატიკების მიხედვით და კოლაბორაციული პროექტების შესრულების გამოცდილებით (იხ. ბმული <https://www.cadcamge.ch/edprog/>).

საგანმანათლებლო პროგრამა გრძელდება 2 წლის განმავლობაში (4 სემესტრი) და მოიცავს სასწავლო და კვლევითი კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტი მოიცავს მაგისტრანტისათვის განსაზღვრულ 12 სასწავლო კურსს (სილაბუსი), რომელთაგანაც 6 არის სავალდებულო, ხოლო 6 წარმოადგენს არჩევით კურსს. სწავლების მეორე წელს გათვალისწინებულია სასაწავლო პრაქტიკა.

არჩევითი ბლოკებიდან და სადისერტაციო თემიდან გამომდინარე მაგისტრანტს შეეძლება გაიაროს ფორმაცია ორი მიმართულებით - სამგანზომილებიანი კომპიუტერული გეომეტრიული მოდელირება და კლიენტ-სერვერული პროგრამული აპლიკაციების დამუშავება.

პირველი მიმართულებით მაგისტრანტი დაეუფლება გეომეტრიული მოდელირების პაკეტს CATIA და შეისწავლის მოწყობილობების დაპროექტებას და ანალიზს სხვადასხვა საინჟინრო მეთოდების გამოყენებით (იხ. მაგალითი <https://www.cadcam.ge/sim-report-for-presentation.pdf>)

მეორე მიმართულებით მაგისტრანტი დაეუფლება Web-ბროუზერის შიგნით კოგნიტიური და ვიზუალიზაციის პროგრამული აპლიკაციების შექმნის ტექნოლოგიებს (იხ. მაგალითი <https://tracer.web.cern.ch>)

— სამეცნიერო კომპონენტი —

სამეცნიერო კვლევები და დისერტაციები შესრულდება ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის - ცერნი, ჟენევა, შვეიცარია, თემებზე. მაგისტრანტები ჩართებიან ცერნის კოლაბორაციულ პროექტებში, სადაც მათი პარტნიორობი იქნებიან ჯგუფები მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტიდან (იხ. ბმული <https://www.cadcam.ge>). სამეცნიერო კვლევებს და დისერტაციებს ხელმძღვანელობას გაუწევენ, ცერნთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მკვლევარები.

— დასაქმების სფეროები —

1. ორგანიზაციები, რომლებიც საჭიროებენ კომპიუტერული დაპროექტების ტექნოლოგიებს - მანქანათმშენებლობაში, ენერგეტიკაში, სამხედრო ინდუსტრიაში და სხვ.
2. ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული არიან სამომხმარებლო პროგრამული აპლიკაციების განვითარების ინდუსტრიაში - კავშირგაბმულობა, ეკონომიკა, მედიცინა, რეკლამა და სხვ.
3. მაღალი ენერჯების ფიზიკის კოლაბორაციები - სიმულაციის ინფრასტრუქტურის განვითარება და კოგნიტიური აპლიკაციების დამუშავება აუთრიჩისა და განათლებისათვის
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები